

შპს „მეიდანზე“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. მიღებული დივიდენდი	9
6. წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება	9
7. ამონაგები მომსახურების გაწევიდან	10
8. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	10
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
10. საკუთრო ზარალი	10
11. ძირითადი საშუალებები	11
12. საინვესტიციო ქონება	12
13. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	12
14. გადასახადები	13
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
16. ფული და ფულის ექვივალენტები	13
17. მიღებული სესხები	13
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14

შპს “მედიანზე”

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
მიღებული დივიდენდი	5	1,305,485	6,091,015
წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	6	1,842,893	-
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	7	2,456,062	5,378,815
რეალიზებული წილის თვითღირებულება მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	8	(1,768,382)	-
		(616,498)	(685,005)
საერთო მოგება		3,219,560	10,784,825
სხვა საოპერაციო შემოსავალი		8,581	114,156
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,424,885)	(1,710,344)
კომერციული ხარჯები		(869)	(2,882)
საოპერაციო მოგება		1,802,387	9,185,755
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		740	1,100
საპროცენტო შემოსავალი		672,197	257,925
საპროცენტო ხარჯი		(377,813)	(326,741)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	10	(1,069,611)	2,043,172
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა		-	161,120
მოგება დაბეგვრამდე		1,027,900	11,322,331
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		1,027,900	11,322,331
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნილები:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		1,174,718	10,033,449
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(146,818)	1,288,882
		1,027,900	11,322,331

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

მიხეილ ბეგიაშვილი
დირექტორი

შპს "მედიანზე"

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
მიღებული დივიდენდი	5	1,305,485	6,091,015
წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	6	1,842,893	-
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	7	2,456,062	5,378,815
რეალიზებული წილის თვითღირებულება მომსახურების გაწევისთან დაკავშირებული		(1,768,382)	-
პირდაპირი ხარჯი	8	(616,498)	(685,005)
საერთო მოგება		3,219,560	10,784,825
სხვა საოპერაციო შემოსავალი		8,581	114,156
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,424,885)	(1,710,344)
კომერციული ხარჯები		(869)	(2,882)
საოპერაციო მოგება		1,802,387	9,185,755
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		740	1,100
საპროცენტო შემოსავალი		672,197	257,925
საპროცენტო ხარჯი		(377,813)	(326,741)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	10	(1,069,611)	2,043,172
ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსულობა		-	161,120
მოგება დაბეგვრამდე		1,027,900	11,322,331
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		1,027,900	11,322,331
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		1,174,718	10,033,449
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(146,818)	1,288,882
		1,027,900	11,322,331

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:



მიხეილ ბეგიაშვილი
დირექტორი

შპს “მეიდანზე”

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	4,676,241	5,283,025
მოთხოვნები დამფუძნებლის მიმართ		11,518,020	11,518,020
საინვესტიციო ქონება	12	40,799,171	39,874,645
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	13	35,151,133	24,694,370
გაცემული სესხი		6,066,199	9,748,870
არამატერიალური აქტივები		45,154	47,255
სულ გრძელვადიანი აქტივები		98,255,918	91,166,185
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		34,297	27,947
საგადასახადო აქტივი	14	302,992	560,545
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	2,146,249	2,390,035
მისაღები პროცენტი		218,943	184,205
ფული და ფულის ექვივალენტები	16	1,301,734	1,775,784
სულ მიმდინარე აქტივები		4,004,215	4,938,516
სულ აქტივები		102,260,133	96,104,701
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		54,341,263	54,359,185
გაუნაწილებელი მოგება		26,546,254	25,829,757
კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებული კაპიტალი		80,887,517	80,188,942
არამაკონტროლებელი წილი		862,355	1,094,673
სულ კაპიტალი		81,749,872	81,283,615
გრძელვადიანი სესხები	17	5,793,970	3,638,176
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,793,970	3,638,176
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	17	602,338	344,367
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	14,113,953	10,838,543
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,716,291	11,182,910
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		102,260,133	96,104,701

4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს “მეიდანზე”

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლ ებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	51,960,024	18,170,468	70,130,492	379,296	70,509,788
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	10,033,449	10,033,449	1,288,882	11,322,331
საწესდებო კაპიტალის ზრდა	25,001	-	25,001	-	25,001
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	(573,505)	(573,505)
31 დეკემბერი 2019	51,985,025	28,203,917	80,188,942	1,094,673	81,283,615
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	1,174,718	1,174,718	(146,818)	1,027,900
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(17,922)	(458,221)	(476,143)	-	(476,143)
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	(85,500)	(85,500)
31 დეკემბერი 2020	51,967,103	28,920,414	80,887,517	862,355	81,749,872

შპს “მეიდანზე”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

მეიდანზე (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2017 წლის ივლისში და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404541484.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების მართვა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ.,N44

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ზაზა ნიშნაიანიძე.

შპს მეიდანზე თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილს (შემდგომში ჯგუფი) :

კომპანიის დასახელება	ინვესტიციის სახე	წილი%
შპს გასართობი ცენტრი მეიდან	შვილობილი	75%
შპს ბამბის რიგი	შვილობილი	75%
შპს მეიდან ჯგუფი	შვილობილი	75%
შპს ქუთაისი ვეარჰაუს	შვილობილი	100%
შპს "მეიდან ივენოს"	ასოცირებული საწარმო	49%
შპს "მეიდანის რიგი"	ასოცირებული საწარმო	43.55%
შპს ბიზნეს ცენტრი მოზაიკა	ასოცირებული საწარმო	41.81%
შპს რითეილ ჯგუფი	ასოცირებული საწარმო	13.33%
შპს ჯეო ნორდიკ პარტნერშიფ	ასოცირებული საწარმო	30%
შპს ფლაი რიყე	ასოცირებული საწარმო	25%
შპს ქართულ ჰოსპიტალთა ჯგუფი	ასოცირებული საწარმო	25%
შპს ქართული საინვესტიციო	ასოცირებული საწარმო	9.38%
ჯგუფი ენერგია		
შპს მეიდან პარკინგი	ასოცირებული საწარმო	43.5%
შპს მეიდან ტური	ასოცირებული საწარმო	43.5%
შპს რივერ ტური	ასოცირებული საწარმო	33.34%
შპს "ძველი მეიდან"	ასოცირებული საწარმო	33.15%
შპს ოპერა პლაზა	ასოცირებული საწარმო	25%
შპს შარდენის 9ა	ასოცირებული საწარმო	32.25%
შპს კალა 2005	ასოცირებული საწარმო	20%

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებულ მონაცემებს.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები.

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოადგენს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფის მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. მიღებული დივიდენდი

	2020	2019
შპს "ბიზნეს ცენტრი მოზაიკა"	672,077	790,433
შპს „ოპერა პლაზა“	270,750	237,500
შპს "კალა 2005"	172,500	4,361,635
შპს "მეიდანის რიგი"	102,343	368,378
შპს "მეიდან ივენოსი"	35,750	4,900
შპს "შარდენის 9ა"	19,500	19,500
შპს "მეიდან პარკინგი"	13,920	19,590
შპს "ძველი მეიდანი"	9,945	172,049
შპს "მეიდან ტური"	8,700	117,030
სულ მიღებული დივიდენდი	1,305,485	6,091,015

6. წილის რეალიზაციიდან მიღებული მოგება

წილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს 2020 წელს შპს "ქართული საინვესტიციო ჯგუფის" 2.06% წილის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს, რომლის თვითღირებულება შეადგენდა 1,768,382 ლარს.

შპს “მეიდანზე”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

	2020	2019
საიჯარო შემოსავალი	2,229,542	4,748,944
შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	193,649	545,965
შემოსავალი კომუნალური მომსახურებიდან	10,621	65,520
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	22,250	18,386
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	2,456,062	5,378,815

8. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	(530,456)	(404,631)
საიჯარო ქირა	(40,070)	(163,296)
კომუნალური მომსახურების ხარჯები	(42,944)	(116,579)
სხვა ხარჯები	(3,028)	(499)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(616,498)	(685,005)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	1,019,908	1,053,929
ცვეთა და ამორტიზაცია	80,360	37,084
საგადასახადო ხარჯი	46,103	148,064
დაცვის მომსახურების ხარჯი	33,963	-
საკონსულტაციო ხარჯი	31,901	113,090
საწვავის ხარჯი	21,266	79,348
დაზღვევა	21,216	20,121
ბანკის საკომისიო	19,646	8,659
საპენსიო ხარჯი	16,846	14,877
რემონტი	15,950	23,535
წარმომადგენლობითი ხარჯები	12,060	35,667
კომუნიკაციის ხარჯები	3,132	7,342
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	102,534	168,628
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,424,885	1,710,344

10. საკურსო ზარალი

	2020	2019
გრძელვადიანი სესხები	(247,196)	-
გრძელვადიანი სესხები	1,067,690	(292,687)
გრძელვადიანი სესხები	(231,869)	312,605
მისაღები პროცენტები	28,267	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,925	192,010
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(1,811,420)	1,543,683
ფული და ფულის ექვივალენტები	116,992	287,561
სულ საკურსო ზარალი	(1,069,611)	2,043,172

შპს “მეიდანზე”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობა	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	მანქანა- დანადგა რები	ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრასპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი, 2018	-	54,462	477,885	294,756	2,361,583	340,023	530,674	4,059,383
შემოსვლა წლის განმავლობაში	2,374,160	433,722	-	18,826	68,344	261,253	2,590	3,158,895
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	2,374,160	488,184	477,885	313,582	2,429,927	601,276	533,264	7,218,278
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	81,486	-	43,084	5,106	-	1,127	130,803
გასვლა	-	(506,233)	-	-	-	(26,247)	-	(532,480)
31 დეკემბერი, 2020	2,374,160	63,437	477,885	356,666	2,435,033	575,029	534,391	6,816,601
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი, 2018	-	-	(427,180)	(190,530)	(549,326)	(122,271)	(461,621)	(1,750,928)
წლის დარიცხული ცვეთა	(11,871)	-	(3,402)	(43,537)	(23,770)	(90,736)	(11,009)	(184,325)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	(11,871)	-	(430,582)	(234,067)	(573,096)	(213,007)	(472,630)	(1,935,253)
წლის დარიცხული ცვეთა	(47,483)	-	(1,168)	(40,869)	(66,506)	(37,701)	(11,380)	(205,107)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	(59,354)	-	(431,750)	(274,936)	(639,602)	(250,708)	(484,010)	(2,140,360)
ნარჩენი ღირებულება								
1 იანვარი, 2019								
31 დეკემბერი, 2019	2,362,289	488,184	47,303	79,515	1,856,831	388,269	60,634	5,283,025
31 დეკემბერი, 2020	2,314,806	63,437	46,135	81,730	1,795,431	324,321	50,381	4,676,241

შპს "მეიდანზე"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობა	ჯამი
ისტორიული ღირებულებები			
31 დეკემბერი 2018	27,941,548	11,265,398	39,206,946
შემოსვლა წლის განმავლობაში	85,472	2,006,780	2,092,252
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი 2019	28,027,020	13,272,178	41,299,198
შემოსვლა წლის განმავლობაში	35,200	1,266,685	1,301,885
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი 2020	28,062,220	14,538,863	42,601,083
ცვეთა			
31 დეკემბერი 2018	-	(1,169,499)	(1,169,499)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(255,054)	(255,054)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(1,424,553)	(1,424,553)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(377,359)	(377,359)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(1,801,912)	(1,801,912)
31 დეკემბერი 2019	28,027,020	11,847,625	39,874,645
31 დეკემბერი 2020	28,062,220	12,736,951	40,799,171

13. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს "თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი"	16,607,123	16,607,123
შპს ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია	7,530,249	-
შპს "ბიზნეს ცენტრი მოზაიკა"	2,884,961	2,884,961
შპს "რითეილ ჯგუფი"	2,812,761	-
შპს "ძველი მეიდანის"	1,194,096	1,194,096
შპს "კალა 2005"	1,600,000	1,600,000
შპს "მეიდანის რიგი"	827,450	827,450
შპს "ოპერა პლაზა"	500,000	500,000
შპს "მარდენის 9ა"	288,678	288,678
შპს "მეიდან ტური"	265,315	255,100
შპს "საადის 7"	189,820	79,000
შპს "მეიდან პარკინგი"	84,825	84,824
შპს "მეიდან ივენოს"	37,550	37,550
შპს "რივერ ტური"	33,408	33,408
შპს "იზი ვაინ თბილისი"	284,897	292,180
ააიპ "ქართული ღვინის მუზეუმი"	10,000	10,000
სულ ინვესტიციები	35,151,133	24,694,370

შპს “მეიდანზე”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	931,232	1,114,024
წილის რეალიზაციიდან წარმოშობილი მოთხოვნები	632,148	632,148
მისაღები პროცენტები	134,749	1,569
მოკლევადიანი ავანსები	151,079	332,672
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	297,041	309,622
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,146,249	2,390,035

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში	164,318	124,420
ფული ბანკში	1,137,416	1,651,364
სულ ფულის და ფულის ექვივალენტები	1,301,734	1,775,784

17. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხი

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	ევრო	7%	323,958	100,903
ფინანსური ინსტიტუტისგან ნასესხები სახსრები	ევრო	6%	2,219,897	2,059,157
იურიდიული პირისგან ნასესხები სახსრები	ლარი	15%	3,250,115	1,478,116
სულ გრძელვადიანი სესხები			5,793,970	3,638,176

მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	ევრო	7%	150,654	115,007
იურიდიული პირისგან ნასესხები სახსრები	ლარი	15%	451,684	229,360
სულ მოკლევადიანი სესხები			602,338	344,367

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები მოიცავს ჯგუფის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	13,923,408	10,612,254
მიღებული ავანსები	188,213	215,920
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2,332	10,369
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,113,953	10,838,543